| | 2. სასკოლო ინვენტარის, მერხებისა და სკამების ფლობის დამადსტურებელი დოკუმენტაცია;<br>3. ვიზუალური დათვალიერება. |
| **შეფასება:** | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| **გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი** | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | დაწესებულების ეზოში განთავსებულია ცალკე ნაგებობა (შენობა N2), რომელშიც მოწყობილია 64 კვ.მ სიდიდის სპორტული დარბაზი. დარბაზში განთავსებულია სპორტული მატრასები, ფრენბურთის ბადე, მაგიდის ჩოგბურთი, ბადმინტონის კომპლექტები, და სხვა სპორტული ინვენტარი. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | 1. სპორტული ინვენტარის შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;<br>2. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;<br>3. ვიზუალური დათვალიერება. |
| **შეფასება:** | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| **დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები** | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | დაწესებულების მეოთხე სართულზე ფუნქციონირებს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია. ლაბორატორიაში განთავსებულია სადემონსტრაციო კარადები შესაბამისი ინვენტარითა და ვიზუალური მასალით, სკამები, მერხები და დიდი ოვალური მაგიდა ჯგუფური სამუშაოებისათვის. ოთახს აქვს ბუნებრივი განიავების საშუალება.<br><br>დაწესებულებამ წარმოადგინა ლაბორატორიით სარგებლობის წესი power point-ის ინსტრუქციის სახით, რომელშიც ვიზუალური მასალებით, ტექსტური მითითებებითა და შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშნებით/ სიმბოლოებით აღწერილია ლაბორატორიაში ქცევის, უსაფრთხოების დაცვისა და საგანგებო შემთხვევებზე (მოწამვლა, მავნე ნივთიერებების მოხვედრა კანსა და თვალში, და სხვ.) რეაგირების წესები. სლაიდები ამობეჭდილია და თვალსაჩინოდ არის გამოკრული ლაბორატორიის ოთახში. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | დაწესებულების პირველ სართულზე ფუნქციონირებს კომპიუტერული ლაბორატორია. ლაბორატორიაში განთავსებული ინტერნეტის მუდმივ ქსელზე დაერთებული 9 პერსონალური კომპიუტერი, გამართულ მდგომარეობაში. ლაბორატორიაში გამოკრულია კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესები. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | 1. საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის შესყიდვის დამდასტურებელი დოკუმენტაცია;<br>2. ლაბორატორიით სარგებლობის წესები;<br>3. ვიზუალური დათვალიერება;<br>4. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრება. |
| **შეფასება:** | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | დაწესებულებას მიეწოდება მუდმივი წყალმომარაგება და ელექტროენერგია, ხოლო საკლასო ოთახებს აქვთ ბუნებრივი განათებისა და განიავების საშუალება. ცხელი წყალი და გათბობის სისტემები რეგულირდება შენობის გარეთ დამონტაჟებული და სპეციალურ კარადაში განთავსებული ორი გათბობის ქვაბით.<br><br>სკოლის ოთხივე სართულზე განთავსებულია სველი წერტილები, მათ შორის, ადაპტირებული საპირფარეშო სკოლის პირველ სართულზე. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | 1. კომუნალური გადახდების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;<br>2. ვიზუალური დათვალიერება. |
| **შეფასება:** | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით |
|---|



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | შპს ახალი ლიცეუმის მესამე სართულზე ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა და მცირე სამკითხველო დარბაზი. დაწესებულებას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკის დებულება.<br><br>წიგნადი ფონდის ფლობის დამდასტურებელი დოკუმენტაციის მიხედვით, ბიბლიოთეკაში დაცულია 1180 ერთეული. წიგნები დამუშავებულია შესაბამისი საბიბლიოთეკო წესით, აღრიცხულია „ექსელის“ ელექტრონულ ფაილში; ბიბლიოთეკაში შექმნილია მკითხველთა ინდივიდუალური ბარათები.<br><br>დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება გაზეთ „ახალ განათლებასთან“. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | 1. წიგნების შესყიდვისა და ჩუქების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;<br>2. „ახალი განათლების“ გამოწერის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;<br>3. ბიბლიოთეკართან გასაუბრება;<br>4. ვიზუალური დათვალიერება. |
| **შეფასება:** | ☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ სტანდარტი დარღვეულია |

| 2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | |
|---|---|
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | ამჟამად, შპს ახალ ლიცეუმში არ ირიცხება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე, თუმცა სკოლას აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთა განათლებისათვის შესაბამისი გარემო.<br><br>სკოლის შესასვლელში დამონტაჟებულია პანდუსი. სკოლის კიბეებზე გადასაადგილებლად, დაწესებულებას დამზადებული აქვს ხის მოძრავი პანდუსები. სკოლის პირველ სართულზე განთავსებულია ადაპტირებული სველი წერტილი. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | 1. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრება;<br>2. ვიზუალური დათვალიერება. |
| **შეფასება:** | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| 2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას | |
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლას აქვს ვებგვერდი: www.newlyceum.ge<br><br>ვებგვერდზე განთავსებულია დაწესებულების მისია, შეთავაზებული საგანმანათლებლო სერვისების ჩამონათვალი, საგაკვეთილო ცხრილი, სასწავლო წლის კალენდარი, გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების ნუსხა კლასების მიხედვით.<br><br>დაწესებულება ასევე სარგებლობს საკუთარი გვერდით სოციალურ ქსელში - “ახალი ლიცეუმი (New Lyceum)”.<br><br>მშობლების ინფორმირებისა და მათთან უწყვეტი კომუნიკაციის მიზნით, დაწესებულება ასევე იყენებს ელექტრონული ჟურნალის სისტემას “Schoolbook”.<br><br>დაწესებულება უზრუნველყოფილია მუდმივი ინტერნეტით, აქვს კომპიუტერული ლაბორატორია და სხვა საჭირო კომპიუტერული ტექნიკა.<br><br>**პერსონალური კომპიუტერი** - 14<br>**ლეპტოპი** - 4<br>**პროექტორი** - 1<br>**პროექტორის ეკრანი** - 1<br>**ტელევიზორი** - 9<br>**პრინტერი-კომბაინი** - 3 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | 1. შპს „პროექტ-სერვისთან“ გაფორმებული დომენის ხელშეკრულება;<br>2. სს „სილქნეტთან“ გაფორმებული ხელშეკრულება;<br>3. ტექნიკის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;<br>4. ვიზუალური დათვალიერება. |
| **შეფასება:** | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| 2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს: | |
| **ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი** | |
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | დაწესებულებას დამტკიცებული აქვს სახანძრო უსაფრთხოების დებულება, რომელშიც აღწერილია სახანძრო შემთხვევის დროს რეაგირების წესები დაპასუხისმგებელ პირთა მოვალეობები.<br><br>დაწესებულების ყველა სართულზე დამონტაჟებულია ახლად დამუხტული ცეცხლმაქრები. ცეცხლმაქრებთან გამოკრულია ზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი ნომერი - 112. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | 1. სახანძრო უსაფრთხოების დებულება;<br>2. ცეცხლმაქრების შემოწმებისა და განახლების მომსახურების ხელშეკრულება და გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;<br>3. ვიზუალური დათვალიერება. |
| **შეფასება:** | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| **ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა** | |
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | დაწესებულებას ყველა სართულზე, თვალსაჩინო ადგილას, გამოკრული აქვს საევაკუაციო გეგმები, რომლებიც შემუშავებულია შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ორგანოს მიერ. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | 1. საევაკუაციო გეგმები;<br>2. ვიზუალური დათვალიერება. |
| **შეფასება:** | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| **გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები** | |
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | დაწესებულებას მეორე სართულზე მოწყობილი აქვს სამედიცინო ოთახი, რომელშიც განთავსებულია ონკანი, პაციენტის გასასინჯი ტახტი, საკაცე და სხვა სამედიცინო ინვენტარი, თუმცა სამედიცინო ოთახის პარამეტრები, ასევე მისი აღჭურვილობა, **არ შეესაბამება** საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის №41/ნ/01-23/ნ ერთობლივი ბრძანებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. კერძოდ, ოთახის სივრცე 12 კვ.მ-ზე ნაკლებია, სრულად არ არის აღჭურვილი წესში განსაზღვრული ავეჯით, ტექნიკითა და მედიკამენტებით.<br><br>დაწესებულებაში მუშაობს დიპლომირებული ექიმი. თუმცა, ექიმის პირადი საქმისა და განათლების დამადასტურებელი დოკუმენტაციის შესწავლით ვერ მოხერხედა ექიმის კვალიფიკაციის №41/ნ/01-23/ნ ერთობლივი ბრძანებით განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან - ა) „პედიატრია“; ბ) „საოჯახო მედიცინა“; გ) „ზოგადი პროფილის ექიმი პედიატრი - შესაბამისობის დადგენა.<br><br>**ხარვეზის გასასწორებლად, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, სამედიცინო კაბინეტის 2022 წლის 21 მარტის №41/ნ/01-23/ნ ერთობლივი ბრძანებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანისა და მოწესრიგების შესახებ.**<br><br>**დაწესებულებამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა სამოქმედო გეგმა სამედიცინო კაბინეტის მოწყობისა და შესაბამისი ინვენტარის შეძენის შესახებ. გეგმაში განსაზღვრულია შესაბამისი აქტივობები (სამედიცინო კაბინეტის მიმდებარე ოთახში გადატანა, ოთახის გარემონტება და ონკანით აღჭურვა, ინვენტარის შეძენა, კაბინეტის მოწყობა), პასუხისმგებელი პირები და განხორციელიების პერიოდი.**<br><br>**ადამიანური რესურსის სტანდარტის ნაწილში (ქვესტანდარტი 3.1),** დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია 2022 წლის 21 მარტის №41/ნ/01-23/ნ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ერთობლივი ბრძანებით განსაზღვრული მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილების მიზნით, გამოაცხადოს კონკურსი და ხელშეკრულება გააფორმოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექიმთან. დაწესებულებამ ვიზიტის პერიოდში გამოაცხადა კონკურსი ექიმის თანამდებობაზე და გაუგზავნა რესურსცენტრს შეტყობინება საკონკურსო კომისიაში რესურსცენტრის წარმომადგენლის ჩართვის თაობაზე.<br><br>***შენიშვნა:*** *დასკვნის პროექტის გაცნობის შემდგომ, დაწესებულებამ წარმოადგინა დამადასტურებელი დოკუმენტაცია ქვესტანდარტის დაკმაყოფილების შესახებ. კერძოდ, ექიმის კაბინეტის ახალ სივრცეში მოწყობის ამსახველი ფოტო-მასალა, სამედიცინო ინვენტარის შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, შპს „ჯანდაცვისა და შრომის უსაფრთხოების სასწავლო-საკონსულტაციო ცენტრთან" (HLS) გაფორმებული ხელშეკრულება.* |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 1. ვიზუალური დათვალიერება;<br>2. სამედიცინო ინვენტარის ფლობის დამდასტურებელი დოკუმენტაცია;<br>3. ექიმთან გასაუბრება;<br>4. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრება;<br>5. სამედიცინო კაბინეტის მოწყობისა და რესურსების უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმა. |
| შეფასება: | ☐ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☒ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| **დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად** | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | შპს ახალ ლიცეუმს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს შინაგანაწესი, რომელშიც განსაზღვრულია სასკოლო საზოგადოების წევრების პასუხისმგებლობები, დისციპლინური წარმოების წესი, წახალისებისა და დისციპლინური გადაცდომის დროს რეაგირების ფორმები.<br><br>დაწესებულებას შემუშავებული აქვს პედაგოგების, დამრიგებლებისა და პერსონალის მორიგეობის სქემა, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | უსაფრთხოებას როგორც საგაკვეთილო პროცესის, ასევე დასვენებებისა და ეზოში განტვირთვის დროს.<br><br>დაწესებულებაში დასაქმებულია უსაფრთოხების მენეჯერი, რომელიც მეთვალყურეობას უწევს წესრიგის დაცვას, მოსწავლეთა გადაადგილებას, ვიზიტორთა სკოლის ტერიტორიაზე შემოსვლას, აკონტროლებს ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემებს, ხელს უწყობს მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლებას უსაფრთხოებისა და ქცევის წესების, ბულინგის პრევენციული ღონისძიებების, და ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზაციის მიზნით.<br>თანამშრომელთა შრომის დაცულობის უზრუნველსაყოფად, დაწესებულებაში დასაქმებულია შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.<br><br>სკოლას შემუშავებული აქვს „უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები“, რომელიც შეთანხმებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | 1. შპს ახალი ლიცეუმის შინაგანაწესი;<br>2. შპს ახალი ლიცეუმის „უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები“;<br>3. საქართველოს განთლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან წერილობითი კომუნიკაცია;<br>4. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრება. |
| **შეფასება:** | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

**ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს**

| | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | შპს ახალ ლიცეუმს აქვს „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემა.<br><br>შენობაში დამონტაჟებულია 4 ვიდეო-კამერა, წინა ეზოში 1 კამერა, ხოლო სკოლის მთავარ შესასვლელთან - 2 გარე კამერა. კამერებით გადაცემული კადრები უხარვეზოდ აისახება დირექტორის ოთახში განთავსებულ მონიტორზე.<br><br>**რეკომენდაცია: შენობაში კიბის უჯრედისა და შენობის უკანა მხარეს განთავსებული ეზოს პერიმეტრის მეთვალყურეობის მიზნით, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია დამონტაჟებულიყო დამატებით 2 ვიდეო-კამერა. ორივე კამერის შეძენა განხორციელდა ექსპერტთა ვიზიტის დროს. დაწესებულების წარმომადგენლებმა ექსპერტებისგან მიიღეს რეკომენდაცია კამერების უმოკლეს დროში დამონტაჟების შესახებ.**<br><br>**სულ კამერების რაოდენობა:** 9 (2 მთავარ შესასვლელთან, 2 ეზოს პერიმეტრზე, 5 სკოლის შენობაში)<br><br>***შენიშვნა:*** *დასკვნის პროექტის გაცნობის შემდგომ, დაწესებულებამ წარმოადგინა დამადასტურებელი დოკუმენტაცია ქვესტანდარტის დაკმაყოფილების შესახებ. კერძოდ, კამერების შესყიდვის დოკუმენტები და კიბის უჯრედსა და უკანა ეზოში დამონტაჟების ამსახველი ფოტო-მასალა.* |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 1. კამერების შესყიდვის დამადასტურებელი დოკუკმენტაცია;<br>2. ვიზუალური დათალიერება;<br>3. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| |
|---|
| 2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლამ წარმოადგინა წესდება 1996 წელს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დაფუძნების შესახებ. ასევე, სანოტარო წესით დამტკიცებული აქტი სკოლის სახელისა და იურიდიული მისამართის ცვლილების შესახებ, რომლითაც განისაზღვრა დაწესებულების მიმდინარე სახელწოდება: შპს ახალი ლიცეუმი, და იურიდიული მისამართი: თბილისი, სახოკიას ქ. N 12.<br><br>დაწესებულებას დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს შინაგანაწესი, რომელიც აზუსტებს სკოლის მართვის სტრუქტურას, თანამდებობრივ ინსტრუქციებს, სამსახურში მიღების, გათავისუფლებისა და შვებულებით სარგებლობის წესებს და სხვა მნიშვნელოვან ასპექტებს.<br><br>გარდა ამისა, საქმიანობის ეფექტურად დაგეგმვისა და წარმართვისათვის, დაწესებულებას შემუშავებული აქვს ისეთი დოკუმენტები, როგორებიცაა: მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება, მატერიალური რესურსის განკარგვის წესი, ახალი მოსწავლის სკოლაში ადაპტირების წესი, და სხვა. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | 1. შპს ახალი ლიცეუმის შინაგანაწესი;<br>2. შპს ახალი ლიცეუმის წესდება (17.09.1996) და სანოტარო აქტი სახელისა და იურიდიული მისამართის ცვლილების შესახებ (08.04.2008);<br>3. შპს ახალი ლიცეუმის მატერიალური რესურსით სარგებლობის წესი;<br>4. შპს ახალი ლიცეუმის თვითმმართველობის დებულება;<br>5. ახალი მოსწავლის ადაპტაციის წესი;<br>6. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრება. |
| **შეფასება:** | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| |
|---|
| 2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

<table>
<tr>
<td>ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</td>
<td>დაწესებულებას შემუშავებული აქვს განვითარების გრძელვადიანი და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები.<br><br>საკუთარი შესაძლებლობების გაანალიზების, საქმიანი გარემოს შესწავლის (SWOT ანალიზი), დეკლარირებული მისიისა და კანონმდებლობით განსაზღვრული უფლება/მოვალეობების ფარგლებში, გრძელვადიან სამოქმედო გეგმაში (2021-2027) დაწესებულებას გამოკვეთილი აქვს ოთხი მთავარი მიმართულება:<br><br>1. ლიცეუმის მომსახურებების გაუმჯობესება;<br>2. სკოლაში ხარისხის სისტემის დანერგვის ხელშეწყობა;<br>3. ლიცეუმის ორგანიზაციული განვითარება;<br>4. უცხოური ენების სწავლების, ზუსტი და საბუნებისმეტყველო მიმართულებების გაძლიერება.<br><br>თითოეული სტრატეგიული მიმართულება აერთიანებს რამდენიმე სტრატეგიულ მიზანსა და ქვე-ამოცანას. წარმოდგენელია მოსალოდნელი შედეგები თითოეული სტრატეგიული მიზნისთვის.<br>ერთწლიანი სამოქმედო გეგმა აზუსტებს 2021-2022 სასწავლო წლის განმავლობაში განსახორციელებელ აქტივობებს, განხორციელების ვადებსა და პასუხისმგებელ პირებს. გეგმაში გამოკვეთილია 9 მთავარი მიმართულება, მათ შორის:<br>• ლიცეუმის მმართველობაში დემოკრატიული კულტური დამკვიდრება;<br>• ლიცეუმის აღჭურვა რესურსებით და სწავლები ხელშემწყობი სხვა საშუალებებით;<br>• მშობელთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, და სხვ.<br><br>დაწესებულების დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია შენობის/ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება უახლოეს პერიოდში.</td>
</tr>
<tr>
<td>მტკიცებულებები/ინდიკატორები:</td>
<td>1. შპს ახალი ლიცეუმის სტრატეგიული განვითარების ექვსწლიანი გეგმა;</td>
</tr>
</table>



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | 2. შპს ახალი ლიცეუმის განვითარების ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;<br>3. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრება. |
| **შეფასება:** | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | შპს ახალ ლიცეუმში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ერთიანი საქმისწარმოების დებულების მიხედვით.<br><br>დებულებაში განსაზღვრულია სკოლის საქმისწარმოების ერთიანი სისტემის ორგანიზების წესი, დოკუმენტებზე მუშაობის (აღრიცხვა მოძრაობა, გაფორმება) წესი, დირექტორის ბრძანებების, ხელშეკრულებების აღრიცხვის წესი, მოსწავლეთა და თანამშრომელთა პირადი საქმეების წარმოების წესი.<br><br>საქმისწარომების დებულება ასევე აზუსტებს საქმისწარმოებისა და დოკუმენტბრუნვის წესს დისტანციური სწავლების დროს. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | 1. დირექტორის მიერ ბრძანებით დამტკიცებული ერთიანი საქმისწარმოების დებულება;<br>2. შემოსული კორესპონდენციის რეგისტრაციიის ჟურნალი / საქაღალდე;<br>3. გასული კორესპონდენციის რეგისტრაციიის ჟურნალი / საქაღალდე;<br>4. ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალი / საქაღალდე;<br>5. თანამშრომელთა ხელშეკრულებების რეგისტრაციიის ჟურნალი / საქაღალდე;<br>6. მშობელთა ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი / საქაღალდე; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | 7. პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმების აღრიცხვისა და რეგისტრაციის ჟურნალი. |
| **შეფასება:** | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| **რეკომენდაციები:** | **ხარვეზის გასასწორებლად, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, სამედიცინო კაბინეტის 2022 წლის 21 მარტის No41/ნ/01-23/ნ ერთობლივი ბრძანებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანისა და მოწესრიგების შესახებ.**<br>**დაწესებულებამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა სამოქმედო გეგმა სამედიცინო კაბინეტის მოწყობისა და შესაბამისი ინვენტარის შეძენის შესახებ. გეგმაში განსაზღვრულია შესაბამისი აქტივობები (სამედიცინო კაბინეტის მიმდებარე ოთახში გადატანა, ოთახის გარემონტება და ონკანით აღჭურვა, ინვენტარის შეძენა, კაბინეტის მოწყობა), პასუხისმგებელი პირები და განხორციელიების პერიოდი.** |
| **რჩევები:** | არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად. |
| **ხარვეზები:** | დაწესებულებას მეორე სართულზე მოწყობილი აქვს სამედიცინო ოთახი, რომელშიც განთავსებულია ონკანი, პაციენტის გასასინჯი ტახტი, საკაცე და სხვა სამედიცინო ინვენტარი, თუმცა სამედიცინო ოთახის პარამეტრები, ასევე მისი აღჭურვილობა, **არ შეესაბამება** საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის No41/ნ/01-23/ნ ერთობლივი ბრძანებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. კერძოდ, ოთახის სივრცე 12 კვ.მ-ზე ნაკლებია, სრულად არ არის აღჭურვილი წესში განსაზღვრული ავეჯით, ტექნიკითა და მედიკამენტებით.<br><br>***შენიშვნა:*** *დასკვნის პროექტის გაცნობის შემდგომ, დაწესებულებამ წარმოადგინა დამადასტურებელი დოკუმენტაცია ქვესტანდარტის დაკმაყოფილების შესახებ. კერძოდ, ექიმის კაბინეტის ახალ სივრცეში მოწყობის ამსახველი ფოტო-მასალა, სამედიცინო ინვენტარის შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, შპს „ჯანდაცვისა და შრომის* |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | *უსაფრთხოების სასწავლო-საკონსულტაციო ცენტრთან“ (HLS) გაფორმებული ხელშეკრულება.* |
| **სტანდარტის შეფასება** | მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:<br><br>☐ სტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☒ სტანდარტი დარღვეულია |

## 3. ადამიანური რესურსი

| 3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლას ჰყავს შესაბამისი ადამიანური რესურსი. დაწესებულებაში სულ დასაქმებულია 33 თანამშრომელი.<br><br>**დირექცია:** დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ბუღალტერი;<br>**ადმინისტრაცია**: ხარისხის მართის მენეჯერი, მენეჯერ-კონსულტანტი, საქმისმწარმოებელი, უსაფრთხოების მენეჯერი, ექიმი, ბიბლიოთეკარი, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.<br>**ტექნიკური პერსონალი:** მზარეული, დამლაგებელი.<br>**მასწავლებელი:** 21 პედაგოგი.<br><br>ყველა თანამშრომელთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები.<br><br>**შენიშვნა:** დაწესებულების მიერ გადმოგზავნილ საშტატო განრიგსა და ელექტრონულ ამონაწერში არ ფიქსირდებოდა შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელთანაც დაწესებულებას კანონმდებლობის შესაბამისად გაფორმებული აქვს შრომითი ხელშეკრულება. სკოლას მიეცა რჩევა, ყველა ახლად დასაქმებული თანამშრომლის მონაცემები დაუყოვნებლივ იქნას ასახული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ერთიან ბაზაში. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | 1. საშტატო განრიგი; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | 2. შრომითი ხელშეკრულებები;<br>3. ამონაწერი ელექტრონული ბაზიდან - Eschool;<br>4. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრება. |
| **შეფასება:** | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ | |
|---|---|
| პედაგოგთა საერთო რაოდენობა | 21 |
| მოწვეული/მაძიებელი | 4 მოწვეული |
| პრაქტიკოსი მასწავლებლი | 5 უსტატუსო |
| უფროსი მასწავლებლი | 12 |
| წამყვანი მასწავლებლი | |
| მენტორის სტატუსი | |

| 3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მასწავლებელთა სამსახურში აყვანა ხორციელდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის შესაბამისად. სკოლას დამტკიცებული აქვს კონკურსის ჩატარების წესი.<br><br>მასწავლებელთა ვაკანტური ადგილების დასაკავებლად დაწესებულებას გამოცხადებული ჰქონდა კონკურსი, თუმცა კონკურსის შედეგად უფროსი მასწავლებლის კანდიდატურა ვერ შეირჩა და სკოლამ აიყვანა მასწავლებლები უსტატუსოდ. ადმინისტრაციასთან გასაუბრების შედეგად ირკვევა, რომ უსტატუსო მასწავლებელთა უმრავლესობა ამავე სკოლის ყოფილი პრაქტიკოსი მასწავლებლები არიან, რომელთაც შეუწყდათ შრომითი ხელშეკრულება კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილების შედეგად. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | **სკოლას მიეცა რეკომენდაცია, მუდმივად გამოცხადებული კონკურსის საფუძველზე, ჰქონდეს მცდელობა შეარჩიოს შესაბამისი კვალიფიკაციისა და სტატუსის მქონე მასწავლებლები.** |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 1. შრომითი ხელშეკრულებები;<br>2. კონკურსის ჩატარების წესი;<br>3. საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| 3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის შინაგანაწესის მიხედვით გაწერილია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები. ასევე სკოლის შინაგანაწესი განსაზღვრავს სანქციების გონივრულ ნორმებს და წახალისების ფორმებს.<br><br>სკოლის მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლაში მათთვის შექმნილია კომფორტული გარემო და მათთვის ძალიან მნიშვნელოვანია ის სოციალური კაპიტალი, რასაც იღებენ დაწესებულებაში მუშაობის შედეგად. სკოლამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის 2021 წლის 28 დეკემბრის N01-65 ბრძანებით დამტკიცებულია ,,ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების დოკუმენტი", სადაც მე-13 მუხლში გაწერილია წახალისების მექანიზმები: წახალისების ღონისძიებები ხორციელდება ობიექტური კრიტერიუმებისა და გამჭვირვალე პროცესის ფარგლებში, სადაც მნიშვნელოვანი აქცენტი კეთდება სამუშაოს შესრულების ხარისხის შეფასების შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე.<br><br>მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუებით გამოიკვეთა, რომ სკოლა ხელმძღვანელობს ობიექტურობის პრინციპით და მათი შეფასებებიც მიმდინარეობს გამჭვირვალედ. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 1. შპს ახალი ლიცეუმის შინაგანაწესი; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | 2. ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების დოკუმენტი;<br>3. სკოლის დირექტორთან გასაუბრება. |
| **შეფასება:** | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლის ყველა მასწავლებელთან გაფორმებულია შესაბამისი სტატუსის ხელშეკრულება. პედაგოგებთან, რომლებსაც არ აქვთ სტატუსი, გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები იმ პირობით, რომ აღნიშნული მასწავლებლები ორი წლის ვადაში დაადასტურებენ საგნობრივ კომპეტენციას და/ან გაივლიან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას.<br><br>მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ და ტექნიკურ პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას და მოიცავს ხელშეკრულების ყველა არსებით პირობას. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | 1. შრომითი ხელშეკრულებები;<br>2. თანამშრომელთა პირადი საქმეები. |
| **შეფასება:** | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები. სკოლის დირექტორის 2021 წლის 28 დეკემბრის N 01-65 ბრძანებით დამტკიცებულია ,,ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების დოკუმენტი“. მასში აღწერილია თუ რა მიზნები და ამოცანები აქვს ორგანიზაციას ადამიანური რესურსების განვითარების მიმართულებით. მკაფიოდ არის გაწერილი დირექტორის ვალდებულებები და ასევე ადამიანურ რესურსების მართვის სტრატეგიები. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სკოლა პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით, დასაქმებულებს აწვდის ინფორმაციას დაგეგმილი ტრენინგებისა და აქტივობების თაობაზე, შექმნილია პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში (მტკიცებულებებში) ფოკუსირება გაკეთებულია მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე. ხარისხის მართვის მენეჯერს წარმოდგენილი აქვს მასწავლებლებთან ჩატარებული სამუშაო შეხვედრებისა და ტრენინგების ანგარიში, ასევე მომდევნო წლის სამოქმედო გეგმა.<br><br>**სკოლის სხვა დანარჩენი თანამშრომლების პროფესიული განვითარების მიზნით, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია სრულიად ადამიანური რესურსისათვის განახორციელოს/აამუშაოს პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები.** |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 1. პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია;<br>2. ხარისხის მართვის მენეჯერის ანგარიში და სამოქმედო გეგმა;<br>3. სკოლის დირექტორის 2021 წლის 28 დეკემბრის N01-65 ბრძანებით დამტკიცებული ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების დოკუმენტი;<br>4. სკოლის დირექციასთან გასაუბრება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | შპს ახალი ლიცეუმის სასკოლო საზოგადოებასთან ჩატარებული ინტერვიუებით, წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით, მოსწავლეთა ნაშრომებისა და პროექტების გაცნობით დადგინდა, რომ სკოლაში არის ჯანსაღ თანამშრომლობასა და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული გარემო.<br><br>მშობლები კმაყოფილებას გამოთქვამენ სკოლის მიერ გაწეულ საგანმანათლებლო სერვისებთან დაკავშირებით და აღნიშნავენ, რომ |

| | |
|---|---|
| | გარდა ხარისხიანი სასწავლო პროცესისა, აქვთ სიმშვიდის განცდა იმ ფაქტთან მიმართებით, რომ მოსწავლეები ფიზიკურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოში ატარებენ დღის მნიშვნელოვან ნაწილს. მშობლები სრულ ნდობას უცხადებენ სკოლის პერსონალსა და მასწავლებლებს; მიაჩნიათ, რომ სკოლა სერიოზულად ეკიდება ნებისმიერ მნიშვნელოვან საკითხს, რაც მათი შვილების ჯანსაღ განვითარებას და აკადემიურ წინსლას უკავშირდება.<br><br>მოსწავლეები ღიად საუბრობენ თვითთმმართველობისა და სკოლის ადმინისტრაციის თანამშრომლობის შესახებ. აღნიშნავენ, რომ სკოლაში ბევრი საინტერესო აქტივობა ხორციელდებოდა პანდემიის დაწყებამდე, და მიუხედავად გარკვეული შეფერხებისა, ახლა ისევ აქტიურად ერთვებიანი საკლასო თუ კლასგარეშე ღონისძიებებში.<br><br>სასკოლო საზოგადოება ერთხმად გამოთქვამს სურვილს, დაიძლიოს პანდემიით გამოწვეული სირთულეები და სკოლის შემცირებული კონტიგენტი კვლავ გაიზარდოს. ამ წინააღმდეგობის გადალახვაში იგრძნობა მასწავლებლების, ადმინისტრაციისა და მშობლების ენთუზიაზმი და ერთმანეთის მხარდაჭერა. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 1. სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრება;<br>2. დამრიგებლებისა და მასწავლებლების პორტფოლიოები;<br>3. სასკოლო აქტივობების ჩამონათვალი და შესაბამისი ვიზუალური მასალა. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| რეკომენდაციები: | რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. |
| რჩევები: | არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად. |
| ხარვეზები: | ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| **სტანდარტის შეფასება** | მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:<br><br>☒ **სტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **სტანდარტი დარღვეულია** |

- თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება, ექსპერტთა ჯგუფი ამასთანავე ავსებს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე.

## XI. თანდართული დოკუმენტაცია

........................... .....................

ქ. თბილისი 16 აგვისტო, 2022

გვერდების რაოდენობა - **45**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.